

სამსარის ვულკანი/ჯავახეთის ზეგანი/: მორფოლოგია, აგებულება
და პოსტვულკანური მინერალიზაციის პროდუქტები

მარიამ ახალკაციშვილი, ბეჟან თუთბერიძე

mariam.akhalkatsishvili@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ვულკანი სამსარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ პოლიგენურ ვულკანს ჯავახეთის ზეგნის არეალში; ასევე ცნობილია როგორც სტრატოვულკანი. სამსარი მდებარეობს აზულ-სამსარის ქედზე 328,7 მ. აბსოლუტურ სიმაღლეზე. სამსარის წვერზე კრატერი არ არის შემორჩენილი, როგორც ჩანს ის დაინგრა ვულკანური მოქმედების დამამთარებელ ეტაპზე. აბსოლუტური ასაკის მონაცემებით სამსარის მასივის ფორმირება მოხდა გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენურ პერიოდში სტრომბოლური ტიპის ვულკანიზმის მრავალჯერადი განმეორებითი ამოფრქვევების შედეგად. მასივის არეალში ნათლად ჩანს ლავური და პიროკლასტიკური პროდუქტების რიტმული მორიგეობა. რომელთაგან გავრცელების უპირატესობა ლავებს ეკუთვნის. ამოფრქვეული პროდუქტები წარმოდგენილია ქანების ფართო სპექტრით: ანდეზიტები -დაციტები-რიოლითები; მათგან ფართო გავრცელება აქვთ დაციტებს.

სამსარის ვულკანური სტრუქტურის გავითარება მის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში კალდერის ფორმირებით მთავრდება. კალდერის დიამეტრია 3-4 კმ-ია, გამოირჩება სამხრეთ-დასავლეთი კალთის ციცაბო დაქანებით.

სამსარის ვულკანური აპარატის არეალში ჩვენს მიერ პირველად იქნა აღმოჩენილი და აღწერილი პოსტვულკანური ჰიდროთერმალური მინერალიზაციის პროცესის პროდუქტები: ჰემატიტი, ზოლემბრივი ოპალიტიზირებული ქანები, ალუნიტი, ქრისტობალითი, სელენიტი, იაროზიტი და შერეულ-შრეებრივი ქლორიტ-მონტმორილონიტის რიგის მინერალები.